წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ოთხშაბათი, 16 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი: პეტიტის სტრიქონი ... პეტიტით დის 15 კ., ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. ... განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. დის 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში

№ 486 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 486

კნიაჟნები ნატალია, სოფია და ეკატერინე გრიგოლის ასულნი და თავადნი დავით და მელქისედეკ გრიგოლის ძენი ფიღავები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს საყვარელი დის კნიაჟნა

**მინადორა (მინა) გრიგოლის ასული**

**ფიღავას**

გარდაცვალებას, რაიცა მოხდა 12 ნოემბერს დილით. გასვენება რკინის გზის სადგურზე, ხვალ 16 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა მოხდება 17 ნოემბერს, შაბათს სოფელ ბანძაში, საგვარეულო ეკლესიის გალავანში.

---

მეუღლე კნ. მარიამ მაჭავარიანის ასული წულუკიძისა შვილებით, დედა კნ. მარიამი კონსტანტინეს ასული და ამინაცვალი თავ ჯვებე დავითის ძე დადიანები, ძმები: სანდრო და ანდრო წულუკიძენი, დები აგრაფინა წულუკიძე და თედოსია ქუთათელაძისა, სიდედრი ვალერია დავითის ასული და სიმამრი კირილე დიმიტრის ძე მაჭავარიანები და სიძე ილიკო მოსეს ძე ქუთათელაძე, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობებს, რომ 16 ნოემბერს, ოთხშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე, დანიშნულია ტრაღიკულად გარდაცვლილ

**თ-დი კოწია იასონის ძე წულუკიძის**

დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან პოლიციის ქუჩაზე

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ორშაბათიდან, 14 ნოემბრიდან:

ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები.

სისხლის მსმელი (თავი) ვჰენიდ და მერსის რომანის პირველი სერია.

სახუმარო. რომელი!? სახუმარო.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 17 ნოემბრიდან,

პატე ჟურნალი

მსოფლიო ამბები

სიკვდილის ხვევნა

დრამა 5 ნაწ. პროლოგით.

კრეისი დაატყვევეს ძლიერ სახუმარო.

---

დაიბეჭდა ბ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო" პირველი ნაწილი ძველი აღმოსავლეთი და კლასიკური კულტურა. გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა" და ბ. ვ. ყიფიანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე.

---

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, სადამოს 6—8 საათამდე ფუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101.

---

ექიმი ი. ჩარკვიანი ქ ლო ის საავათმყოფოს ორდინატორი იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით 12½—2 საათ. სადამოს 6—8 ს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135.

---

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საოფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო"-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. სად. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

---

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

მკურნალ მასაჟით, საქიმთ ... ჰკურნავს სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ... აკეთებს ნამდვილათ ფარჩის თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და სადამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური მისამართი: დადიანის შესახვევი, ... სახლები. № 37

304—1—თვით

---

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. ... ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ალექსანდროვის ქ. საკუთარი ს.

---

ქუთაისის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების

**საორგანიზაციო კომიტეტი.**

რომელიც, წესდების § 34-ის თანახმად, მდგომარე 1916 წლის 4 დეკემბერს იწვევს საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას გამგეობის, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად, უმორჩილესად სთხოვს საზოგადოების წევრად ჩაწერის მსურველთ

**დეკემბრის პირველ რიცხვამდი შემოიტანონ განცხადება და წარმოადგინონ საწევრო ფული.**

ყოველგვარი ცნობისა და განცხადების დაბეჭდილი ბლანკის მისაღებად უნდა მიმართონ კომიტეტის ხაზინადარს ა. ი. კრინიცკის დღის 12 საათიდან 2-დი.

(ქ. ქუთაისი, გიმნაზიის ქუჩა, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სადგომი).

---

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 14 ნოემბრიდან

რუსის ჯარი საფრანგეთში სამხედრო სურათი ნამდვილიდან.

ბედნიერება კი შესაძლებელი იყო

დრამა 5 ნაწილად ლისენკოს, მოზჟუხინისა და პანოვის მონაწილეობით.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 17 ნოემბრიდან,

პატე ჟურნალი მიმდინარე ამბები

საცოდავი, სამხედრო საავადმყოფოში მოკვდა

ძლიერი დრამა 4 ნაწ.

საუკეთესო ყოფა ქცევის ქმრები

სახუმარო.

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან

13 ნოემბერი

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის სამხრეთ დასავლეთით ჩვენი მზვერავები მტრის სანგრებში შეიჭრნენ, მათს მომხდურებს ჩვენი ზარბაზნების სროლა ჰფარავდა. ხელთ იგდეს ტყვეები და ტყვიისმფრქვეველი. სმორგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოპირდაპირემ, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, ბინდისას ორის როტით შემოგვიტია. მაგრამ ზარბაზნების, ყუმბარის მტყორცნელებით და ტყვიისმფრქვეველებით უკუ ვაგდეთ და ისევ თავის სანგრებამდე მივლილეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე ჩვეულებრივი სროლაა.

**კავკასიის ასპარეზზე** არსებითი არაფერი მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.** ტრანსილვანია. მდ. ალიუტის მიდამოებში მტერმა მედგრად შემოუტია რუმინელებს და უკან დაახევინა კალიმანეშტისა და მოლასეშტის სამხრეთით მოპირდაპირემ კრაიოვიდანაც შეუტია და რუმინელები მდ. ალიუტეცის გაღმა გადარეკა ზიმნიცასთან გერმანელების ჯარი მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე გადავიდა.

დუნაის ასპარეზი დობრუჯში მოპირდაპირემ ჩვენს მოწინავე რაზმებზე იერიშით წამოსვლა სცადა მაგრამ სროლით შევაჩერეთ.

კირლიბაბას ჩრდილო აღმოსავლეთით მოპირდაპირე მედგრად უშენდა ზარბაზნებს ჩვენს სანგრებს.

კავკასიისა, ტრანსილვანიისა და დუნაის ასპარეზებზე არსებითი არაფერი მომხდარი.

14 ნოემბერი

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მოლოდეჩნის ჩრდილო დასავლეთით სადგურ პრუდთან ტყვიისმფრქვეველებით გერმანელების საფრენი ჩამოვაგდეთ. ზედ მყოფი აფიცერი და ჯარისკაცი დავატყვევეთ. მდ. სტოხოდზე, ს. ვულკა პორსკაიასთან ჩამოვარდა როჟიშჩეს ჩრდილოეთით სოფ. პოჟაარსკისთან ჩვენ მიერ დაზიანებული მტრის საფრენი. საფრენს ფრთები მოსწყდა. მფრინავები დავატყვევეთ. ნოვოალექსინეცის დასავლეთით გაცხარებული სროლაა ჩვენს ასპარეზზე გუშინ მტრის საფრენები დასტრიალებდნენ. ერთი მათგანი ჩვენმა მფრინავმა კაპიტანმა ბაფტალოვსკიმ 30 წუთის ბრძოლის შემდეგ იძულებული ჰყო რუდნია პოჩაევსკაის სადგურთან დაშვებულიყო. საფრენი მთელი აღმოჩნდა, ზედ იყო ტყვიისმფრქვეველი. მფრინავი და მეთვალყურე დავატყვევეთ. ეზენს—ზოლოჩევის რკინისგზის სამხრეთ დასავლეთით სოფ. ავგუსტოვკასთან ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს და მოპირდაპირის დარაჯები ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ წამოიყვანეს.

13 ნოემბერი

**ოდესა.** ბუქარესტიდან მოსულნი გადმოგვცემენ: თუმცა მტრის მფრინავები გაფაციცებით მოქმედებენ, მაგრამ ფრანგი მფრინავები მაინც ახერხებენ სალონიკსა და ბუქარესტს შუა მიმოსვლას. თითო გზობას 6 საათს ანდომებენ. ერთმა ფრანგის მფრინავმა ბუქარესტში მიიტანა, საბერძნეთის ეროვნულ ჯარის მიმართვა რუმინელებისადმი, სადაც ნათქვამია, თურმე: მოახლოვდა დღე, როდესაც საბერძნეთის ჯარი აქტიურ მოქმედებას დაიწყებს, რომ რუმინეთის ასპარეზიდან ბულგარეთის ჯარის ნაწილი ჩვენსკენ მოვიზიდოთ.

უკანასკნელ დროს ბულგარელებმა რამდენჯერმე სცადეს ვინდინიდან მოქმედება ტურნ-სევერინის მხარეს გადაეტანათ. ბულგალერებმა რამდენჯერმე სცადეს ვინდინის მიდამოებში ტივის ხიდებით გაღმა გასულიყვნენ, მაგრამ მალე შეუტყეს და ხელი შეუშალეს.

**ლონდონი.** სადამოს ოფიც. ცნობა. საფრანგეთის ასპარეზზე გერმანელებმა 11 გიორგობისთვეს ზარბაზნები დაუშინეს ინგლისელების ბრძოლის ხაზს, ლვბეკურის მიდამოებს და ლაბასეს არხის ორივ ნაპირას პოიზიეს სამხრეთით გერმანელების ქვეითა ჯარი სროლით გავფანტეთ. გუშინ 20 საფრენისაგან შემდგარ გერმანელების ესკადრას ჩვენი მფრინავები შეებრძოლნენ, ერთი გაანადგურეს, რამდენიმე დააზიანეს და იზულებული ჰყვეს ძირს დაშვებულიყვნენ ჩვენი მფრინავები უვნებლად დაბრუნდნენ. მეორე ბრძოლის დროს გერმანელების 4 საფრენი გაანადგურეს. ჩვენ 2 საფრენი დაგვაკლდა.

**ლონდონი.** საადმირალო იტყობინება. 11 ნოემბერს სალონიკიდან მალტას მიმავალი საოსპიტლო გემი „ბრემენკასტლ"-ი ნაღმს წაწყდა ეგეის ზღვაში მიკენის სრუტესთან და დაიღუპა. შეძლება წყალქვეშას ნაღმიც მოჰხვდა. ზედ მყოფნი ყველანი გადაარჩინეს

**პარიზი.** მახლობელ აღმოსავლეთში. გრუნიშტის მიდამოებში სერბიელებმა 11 ნოემბერს ბულგარელების იერიში მოიგერიეს.

მონასტირის დასავლეთით იტალიის ჯარი წინ მიიწევს

14 ნოემბერს

**პარიზი** სადამოს ოფიც. ცნობა. ვოს სამაგრის მიდამოებში ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა.

**ლონდონი.** საადმირალო ოფიც. იტყობინება: 10 ნოემბერს ღამე გერმანელების 6 ნაღმოსნების გამანადგურებელმა გემმა ნორტდოუს სანაპიროებთან მოახლოვება სცადა. მოდარაჯე გემებმა მალე შეამჩნიეს. მოპირდაპირის გემებმა მოასწრეს 12 ყუმბარის სროლა და იძულებული გახდნენ უკანვე გაბრუნებულიყვნენ. ერთი ყუმბარა ნაღმების მკრეფ გემს მოხვდა. ზედ მყოფთაგან არავინ დაშავებულა. გემის ბაქანი დაზიანდა ქალაქ რამსგეტს არც ერთი ყუმბარა არ მოჰხვედრია.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. მახლობელი აღმოსავლეთი. მონასტირის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მიდამოებში მედგარი და ცხარე ბრძოლაა ზარბაზნებით უამინდობის გამო ქვეითა ჯარი არ მოქმედობს.

იტალიელებმა მონასტირის ჩრდილო-დასავლეთით ტაროვესაკენ წინ წაიწიეს.

ნეოხორის მიდამოებში ინგლისის მფრინავები მარჯვედ ესროდნენ მტერის ბანაკს.

**ათინა.** საჰოსპიტლო გემი „ბრიტანიკ"-ი 12 ნოემბერს დილით ნაღმით დაიღუპა. აფეთქების შემდეგ გემი 45 წუთს შერჩა ზღვის ზედაპირს; ნავები ჩაუშვეს ზღვაში, შიგ ჩასხეს დაჭრილები, მეზღვაურებს პროპკის ქამრები დაურიგეს. მოკავშირეთა ესკადრამ საშველად გემები გაჰგზავნა. 30 დაჭრილი გადარჩინეს. 60 დაიღუპა ამათგან 5 გუშინ მიწას მიაბარეს პირეიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

**ალმოსავლეთის ასპარეზი**. რუსის მზვერავები ზარბაზნების სროლის დახმარებით გერმანელთა სანგრებში შეიჭრენ, სმორგონთან საარტილერიო მომზადების შემდეგ გერმანელები იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ რუსებმა უკუ აქციეს დღის განმავლობაში გერმანელთა საფრენები ბევრჯერ გამოჩნდნენ, რუსებმა სამი საფრენი ძირს ჩამოაგდეს.

**კავკასიის ასპარეზი**. არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**დასავლეთის ასპარეზი**. გერმანელები ინგლისელებს ზარბაზნებს უშენდნენ. გერმანელების 20 საფრენი ინგლისთა პოზიციებს ყუმბარებს უშენდა, ინგლისელებმა რამდენიმე საფრენი დააზიანეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე ვოსთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა.

**იტალიის ასპარეზი**. ჩვეულებრივი ბრძოლებია.

**რუმინიის ასპარეზი**. ტრანსილვანიაში ალიუტის ველზე მედგარი შეტევა განაახლეეს. მდ. ჟიუს ველზე მომქმედ გერმანელებმა კრაიოვიდან აღმოსავლეთისაკენ იბრუნეს პირი და მდ. ალი უტეცი გადალახეს. მაკენზენის ჯარი დუნაის მარცხენა ნაპირზე გადავიდა ზიმნიცსთან. დობრუჯაში ბულგარელთა მოწინავე რაზმებმა შეტევა სცადეს. კირლი ბაბას ჩრდილოეთით ავსტრიელები ზარბაზნებს მედგრად უშენდნენ რუმინელებს.

**მაკედონიის ასპარეზი**. მოკავშირეთა ჯარს ბულგარელები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ. მონასტირის ახლოს სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. დასავლეთით იტალიელები წინ მიიწევენ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

— გერმანია-ავსტრიის ჯარს ქალაქი ორშოვა უკვე დაუპყრიათ.

— მაკენზენს დობრუჯაში მომქმედ ჯარის ნაწილი მონასტრისკენ გადაუყვანიათ.

— გერმანელებმა უკვე შეადგინეს პოლონელთა ჯარი და ახალი მუნდირებიც დაარიგეს. პოლონელ ჯარის კაცთ თავზე რკინის თეთრი არწივით შემკული მუზარადი (კასკა) ეხურებათ, ასეთივე არწივი ექნებათ გამოსახული მარჯვენა სახელოზე. ტანისამოსი საერთოდ მოგვაგონებს ნაპოლეონის დროის ვარშავის საჰერცოგოს ჯარის ტანთსაცმელს, ჯარის სარდლებად პოლონელებსაც ნიშნავენ.

— ხმელთა შუა ზღვაში გერმანულ წყალქვეშას ნაღმით ჩაუძირავს 6000 ტონნის წყალწყვის გემი „ვჰინნ" ი. მეზღვაურნი გადაურჩენიათ.

— ატლანტიის ოკეანეში გერმანულ წყალქვეშას დაუძირავს ნორვეგიის დიდი გემი „იოახიმ ბრიანკლუნდ"-ი.

— კუნძულ კრიტოსზე მყოფი სამეფო გვარდია ვენიზელოსს მიემხრო.

— მოკავშირეთა ჯარი ქ. ლარისაში შესულა.

მოკავშირეთა ჯარის წინსვლა მაკედონიის ასპარეზზე ძლიერად სწარმოებს. დამარცხებულთ გერმანელ-ბულგარელები ორის მიმართულებით იხევენ უკან პრილეპისა და მდ. ვარდარისაკენ. თავგანებებულ ადგილებიდან ბულგარელებს ყველა ახალგაზრდა ქალი და ვაჟი თან წაუსხამთ.

— გაზ. „დეილი ტელეგრაფი" სწერს: ბულგარელთა ომში ჩარევის მთავარი მიზანი მონასტირი აღება იყო; ეხლა მათ მონასტირის დაკარგეს და ეს ძალიან გაუტეხავს გულს დიდი ბულგარეთის მოტრფიალეებსა.

— ცნობილ გერმანელ პუბლიცისტს როჰრბახს პოლონეთის ეკონომიურ მომავლის შესახებ ერთ ჟურნალში წერილი დაუსტამბავს, როჰრბახი სწერს:

„პოლონეთისათვის პირველი ბედნიერება, რომელსაც ჩვენ მივანიჭებთ, ის იქნება, რომ მას დაუთმობთ მდ. ვისლის არხებს, ამ არხების შემწეობით პოლონეთი ფართე მდინარეების შემწეობით შუაგულ ევროპას თან პირდაპირ დამოკიდებულებას გამართავს ამით კი პოლონეთის მრეწველობა მოიპოვებს ახალ ბაზრებს, ერთის მხრივ: გალიციას, უნგრეთს, ბალკანეთის სახელმწიფოებს, ხოლო მეორე მხრივ თავისუფალ გასავალს მოიპოვებს ოკეანესაკენ. ამნაირად რუსეთის ბაზრის დაკარგვას, სრულიად აანაზღაურებს. ვარშავა ბერლინს დაემსგავსება; ნავთ-სადგური დანციგი პოლონეთისათვის იგივე იქნება, რაც ჰანბურგი გერმანიისათვის. დანციგის საშუალებით პოლონელნი თავის საქონელს მსოფლიო ბაზარზე გაიტანენ და მათ შეძლება ექნებათ აზიასა და აფრიკასთან კი მოაწყონ სავაჭრო ურთიერთობა.

— ბელგიაში შრომის ბეგარის გამოცხადების გამო, ბრიუსელში დიდი დემონსტრაცია მომხდარა. კომენდანტს ბრძანება გაუცია შებინდებისთანავე დახურულ იქნეს ყველა ყავახანები და რესტორნები.

— ქ. მონასტრის აღებაში იტალიის ჯარს დიდი დახმარება გაუწევია; იმ დროს, როდესაც სერბიელები აღმოსავლეთის მხრიდან უვლიდნენ ქალაქს, იტალიელებს დასავლეთიდან შეუტევიათ.

— გერმანიის საზღვაო ქარხნებში ამ ჟამათ დღე და ღამე შეუწყვეტელი მუშაობა სწარმოებს. მრავალ წყალქვეშას აშენებენ გაზაფხულისათვის. ეს წყალქვეშები „დოიტშლანდის" ზომისა იქნება და საუკეთესოდ შეაიარაღებენ. როგორც შვეციის გაზეთები სწერენ გაზაფხულიდან გერმანია ახალ წყალქვეშა კამპანიას დაიწყებს და უმოწყალოდ დაღუპავს მოკავშირე და ნეიტრალ სახელმწიფოთა გემებს.

— ბულგარეთის სარეზერვო ჯარები სულ ერთიანად ბრძოლის ველისაკენ გაუგზავნიათ. უმეტესი ნაწილი ამ ჯარისა მაკედონიისაკენ წასულა.

## სამხედრო მიმოხილვა

ტრანსილვანიაში გენ. ფალკენჰაინის ჯარის მარჯვენა ფრთა შეტევას განაგრძობს. მდ. ჟიუსა და ორ სამ უკანასკნელ დღეებში ალიუტის ველებით თანდათან უფრო მედგრად უტევდენ გერმანელები და ავსტრიელები.

დღეს რუმინიაში სამხედრო მდგომარეობა ასეთია. ჟიუს ველით 120—130 წინ წაიწიეს გერმანელებმა ავსტრიის საზღვრიდან და ქალაქი კრაიოვა დაიპყრეს. კრაიოვის დაპყრობით მთელი მცირე ვალახია იქ მებრძოლ რუმინიის ჯარიანათ მოწყვეტილია რუმინეთს, რადგანაც ერთად ერთი რკინის გზა მცირე ვალახიიდან ამ ქალაქზე გადის.

ალიუტის ველით ბოლო დროს გერმანელებმა და ავსტრიელებმა ერთბაშად შეუტიეს რუმინელებს და უკან დაახევინეს.

ამ შეტევის მიზანი არის მდ. ჟიუს გაყოლებით წინ წამოსულ გერმანელთა ჯარის მარცხენა ფრთის დაფარვა, რომ აქედან რუმინელებს არ შეეტიათ.

ეს დახმარებითი შეტევა გერმანელებისთვის აუცილებლად საჭირო იყო, რადგანაც მათმა კრაიოვის არმიამ პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა და მდინარე ალიუტეცი გადმოლახა; ამ შემთხვევაში გერმანელებს სამი მხრით უხდებოდათ ბრძოლა: პირდაპირ პეტეშტისაკენ წინ გასაწევად და ორივე მხრით ჩრდილო აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრიდან რუმინელებისაგან ფრთების დაცვა.

ალიუტის შეტევით გერმანელებმა კრაიოვის არმიის მარცხენა ფრთა უზრუნველჰყვეს, ვინაიდან მაშინ, როდესაც გერმანელები ალიუტას ველზე რუმინელებს უტევენ, უკანასკნელნი ვერ შესძლებენ თვით შეუტიონ ჟიუს ველის წინ წამოსულ გერმანელებს.

გერმანელებს ღია რჩებოდათ თავისი მარჯვენა ფრთა.

მაგრამ გუშინ დეპეშამ ცნობა მოგვიტანა, რომ მაკენზენს ზიმნიცსთან დუნაი გადაულახავს.

ზიმნიცა ერთნაირად დაშორებულია, როგორც კრაიოვას ისე ბუქარესტს ასე, რომ მდ. ალიუტეცს, რომელზედაც გერმანელები გადმოსულან სულ ასიოდე ვერსითაა დაშორებული.

ზიმნიცასთან გერმანელები და ბულგარელების დუნაის მარცხენა ნაპირზე გადასვლას დიდი მნიშვნელობა აქვს

თუ რუმინელები ალიუტეცზე მომქმედ გერმანელებს სამხრეთის მხრიდან შეუტევენ, მაკენზენის ჯარი მაშინვე წინ წაიწევს ზიმნიციდან და რუმინელებს ზურგის მხრიდან დაემუქრება; ყველა ეს კი შეუძლებელს გახდის შემოსულ გერმანელების შეჩერებას და რუმინელებისათვის საუკეთესო ის იქნება, თუ ისინი შესძლებენ კრაიოვასა და დუნაის შუა მდგომ ჯარის დროზედ სამშვიდობოზე გამოყვანას და პიტეშტის მიდამოებში გამაგრებას.

ამნაირად, მაკენზენის ჯარის მიერ ზიმნიცასთან დუნაის გადალახვა პირდაპირ დაკავშირებულია ჟიუს ველით გერმანელთა წინსვლაზე.

როგორც ვხედავთ გერმანელთა მოქმედების ეს ახალი გეგმა ერთობ განირჩევა იმ გეგმისაგან, რომლის მიხედვით გერმანელებს დობრუჯისა და ტროტუშის ველით უნდა გადაეჭრათ რუმინია და ისე შემოკლებიათ ბრძოლის პირი

მაგრამ ერთი რამ ახასიათებს გერმანელთა სტრატეგიას: უკანასკნელ წუთამდე გერმანელები არ ამხელენ თავის გეგმას; პირიქით, რომელიმე ოპერაციას რომ იწყებენ, სულ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე შეცდომაში შეიყვანონ მოპირდაპირე და თავისი [illegible] დაფარონ.

მხოლოდ ეხ[illegible] ნელთა მოქმედების ხაზი და რამოდენიმე ხანში ნათელი გახდება, როგორ და რა სახით სწადიათ მათ თავის მიზნის რუმინიის გათელვის, მიღწევა.

შვერელი.

## რუსული პრესა.

ამას წინად სახ. საბჭომ გამიჯვნის ინსტიტუტში ებრაელების დაშვების საკითხი უკანასკნელთა სასარგებლოდ გადასწყვიტა. ამ გარემოებამ „ჭეშმარიტ რუსებისათვის ძილი დაუბრთხია. „ზემშჩინა" სიბრაზისაგან სულს ძლივს ითქვამს:

„აქ თვით ფაქტი იმდენად არ არის საყურადღებო, რამდენადაც სახ. საბჭოს გათახსირება. სავალალო ის არის, რომ მეამბოხეთა ბლოკმა ძალა მოიპოვა იმ უმაღლეს დაწესებულებაშიაც!... სავალალო ის არის, რომ სხვა და სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეები-მელერ ზაკომელსკები, გრიგოროვები, ტაგანცევები, იზგოევსკები, ტიმირიაზევები და სხვანი აშკარად ოპოზიციაში უდგებიან მეფის მთავრობას და თავისი, „დეკლარაციებით„ გამოსვლას ბედავენ!..

აი, ეს უფრო დიდი საშიშია.

სჩანს საქმე იქამდე მივა, რომ სათათბიროსავით საბჭოც უნდა დაითხოვონ...

მაშ ასე, ჯერ სათათბიროს დათხოვნით კმაყოფილდებოდნენ ეს „მამულიშვილები" შემდეგ საბჭოს დათხოვნაც საჭიროდ სცნეს და მართლაც საქმე იქამდე მივა, ვგონებთ, რომ უფრო ზევით მიმართავენ თავის უკმაყოფილებას.

# ახალი ამბავი.

ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი თავადი დ. ო. ნიჟარაძე უკვე დაბრუნდა პეტროგრადიდან და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ ქუთაისის კომერციულ სასწავლებლებს უკვე ცნობილმა მდიდარმა ა. მ. ხოშტარიამ შესწირა ოთხასი თუმანი

ამავე სასწავლებელს შესწირა ასი თუმანი მეორე ცნობილმა ფინანსისტმა ი. მანსვეტაშვილმა.

✦ ამ მოკლე ხანში ცნობილი მკვლევარი ქართული მწერლობის ბ. ივ. პ. ყართაგავა ქალაქის თიატრში წაიკითხავს ლექციას „შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო" ლექციას წაიკითხვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ საგანგებო კაცი გაგზავნა ქუთაისის მაზრის მცხოვრებთა ნივთიერ მდგომარეობის შესამოწმებლად. საზოგადოებას აზრათა აქვს ღარიბებსთ დახმარება გაუწიოს შეძლების დაგვარად

✦ გუშინ უკვე განახლდა სწავლა წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის მაღალ კლასებში, დაბალ კლასებში სწავლა დაიწყება 22 ნოემბერს მანამდე კი ბავშვები დათხოვნილი არიან, რადგანაც ამ სასწავლებლის მოწაფეთა შორის ყელჭირვება მძინვარებდა.

✦ ამ დღეებში მოხდება ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის კრება ქ-ნ ელ. ხეჩინოვის თავმჯდომარეობით.

✦ გუშინ „ძმობის" სტამბა უკვე შეუდგა ია ეკალაძის იმ მოთხრობების ბეჭ-

## მსოფლიოს ერთობა.

**ორგანიულისა და არაორგანიულის ერთობა.**

(იხ. „სამშობლო" № 480)

ძველად ეგონათ (მაგალითად, ეგრეთწოდებულ ვიტალისტებს), ცხოველობითს ძალს არაორგანიულ მატერიასა და ენერგიასთან საერთო არა აქვს რაო.

მაგრამ დამტკიცდა, რომ ცხოველის ფიზიოლოგიური ენერგია სავსებით ექვემდებარება მატერიისა და ენერგიის გაუქრობლობის კანონს. მატერია, ანუ ენერგია, არ იკარგება, არა ჰქრება, მხოლოდ გარდიქმნება.

დასწვით სანთელი დახურულ ჭურჭელში: ჭურჭლისა და მისი შეცულობის წონა არ მოიკლებს. ჩაასხით რომელსამე ჭურჭელში წყალი და ჩაურიეთ ისეთი ნივთიერებანი, რომელნიც ერთმანეთზე ქიმიურად მოქმედობენ. როგორიც უნდა იყოს ქიმიური ქმნადობა, ჭურჭელი მისი შეცულობითურთ წონას არც მოიკლებს და არც მოიმატებს. ამით მტკიცდება ნივთიერებათა გაუქრობლობა, რომელიც 1774 წელს საფრანგეთის ქიმიკოსმა ლავუაზიემ აღმოაჩინა.

რ. მაიერმა (1842 წ.), კოლდინგმა (1843 წ.) და ჰელმჰოლცმა (1847 წ.) აღმოაჩინეს იმავე დროს ენერგიის გაუქრობლობის კანონი.

წყლის ერთი კილოგრამი რომ 428 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდეს (უჰაერო სივრცეში), იმდენ ძალას წარმოშობს, რომელსაც შეუძლია 428 კილოგრამის მწონელი ნივთი ერთი მეტრის სიმაღლეზე ასწიოს, შეუძლია, მაშასადამე, 428 კილოგრამო-მეტრის მუშაობა წარმოშვას. თუ ძირს ჩამოვარდნილ წყალს მოძრაობის საშუალობა არ ექნება,—გათბება ე. ი. სითბოს წარმოშობს. რამდენ სითბოს? მთელი ამ წყლის სიმხურვალეს ერთი გრადუსი (ცელ.) მიემატება იმ სითბოს რაოდენობას, რომელიც საჭიროა, რომ წყლის ერთი გრამის სიმხურვალე ერთი გრადუსით აამაღლოს, ეწოდება პატარა კალორია. მაშასადამე, ხსენებულ შემთხვევაში წყალს 1000 პატარა კალორია მიემატება. ამგვარად, 428 კილოგრამ-მეტრის ენერგია, რომელიც ჩამოვარდნის დროს წყალს უნდა წარმოეშვა, არ გამქრალა, არამედ გადიქცა სითბოს 1000 პატარა კალორიად, ანუ, რაც იგივეა, — სითბოს ერთს დიდ კალორიად.

წყლის ერთი გრამის ჩამოვარდნა ერთი სანტიმეტრის სიმაღლიდან შობს ენერგიის იმდენ რაოდენობას, რომელიც 181 ერგს უდრის. ერგი, მაშასადამე, ერთობ მცირე ენერგიის რაოდენობას წარმოადგენს. ამიტომ, ენერგიის გასაზომავად ხმარობენ ეგრეთწოდებულ ჯაულს, რომელიც ათ მილიონ ერგს უდრის. მაშასადამე, ერთი კილოგრამის (ათასი გრამის) ჩამოვარდნა 428 მეტრის სიმაღლიდან შეიქმს იმდენ მუშაობას, რომელიც 4.200 ჯაულს უდრის.

ყოველი სხვა ნივთი, რომელიც ათას გრამს (ერთს კილოგრამს) იწონის, ჩამოვარდნილი ძირს იმავე სისწრაფით, იმდენსავე ენერგიას, ანუ მუშაობას, წარმოშობს. იმავე დროს ხსენებული ნივთის სიჩქარე მიწაზე დავარდნის დროს იქნება 9.164 სანტიმეტრი წუთში. და კინეტიური ენერგია ათასი გრამის მწონელი ნივთისა, რომელიც ამ სიჩქარით გარბის $\{\frac{1}{2}$ xmx v2 $=\frac{1}{2}\times1000\times9.164^2),=4.200$ ჯაულს

ხსენებული ენერგია (ე. ი. ერთი კილოგრამის წყლის 428 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდნის ენერგია) რომ ელექტრონად გადიქცეს, ეს ელექტრონი აანთებდა ერთს ელექტრონის ლამპას 84 წუთში (1,4 წამში). თვითეული ამგვარი ლამპა ხარჯავს თვითო წუთში 50 ჯაულს, მაშასადამე, 84 წუთში 4200 ჯაულს. ორთქლის მანქანას კი (ერთი ცხენის ძალის მანქანას) შეუძლია წარმოშვას 4 200 ჯაული $5^1/_3$ წუთში. მაშასადამე, ერთი ცხენის ძალის ორთქლის მანქანას შეუძლია წარმოშვას ყოველ $5^1/_3$ წუთის იმდენი ელექტრონი, რომელიც საკმაოა 15 ელექტრონის ლამპის ასანთებად (თვითეული ელექტრონის ლამპის სინათლე უდრის 12 კარტოფილის სანთლის სინათლეს). და, რადგან უბრალო მექანიკური ენერგია ელექტრო-მაგნიტის რგოლების დატრიალების საშუალობით წარმოშობს ელექტრონის ენერგიას, წინდაწინვე შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ, რამდენი ელექტრონის ენერგია შეგვიძლია მივიღოთ მანქანის განსაზღვრული მუშაობისაგან.

ამას გარდა, ელექტრონის ენერგია რომ გავატაროთ აზოტ-ვერცხლის მარილის ხსნილში, ხსენებული მარილი დაიშლება და ვერცხლი ხსნილიდან განიგდება, განთავისუფლდება. ელექტრონის ენერგიის 4 200 ჯაულს შეუძლია განაგდოს, განათავისუფლოს მარილხსნილიდან $6^2/_3$ გრამი ვერცხლისა

შემდეგ გვექნება საუბარი იმის შესახებ, ქიმიური ენერგია როგორ გარდიქცევა ელექტრონის ენერგიად.

მაშასადამე, ენერგიანი არა ჰქრებიან, არამედ მხოლოდ გარდიქმნებიან.

როგორცა ვთქვით, ათასი გრამის, ან ერთი კილოგრამის, სიმძიმის ნივთის ჩამოვარდნა 428 მეტრის სიმაღლიდან წარმოშობს ერთი კილოგრამომეტრის მუშაობას, ე. ი. იმდენ მუშაობას, რამდენიც საჭიროა, რომ ნივთის ერთი კილოგრამის წონა ასწიოს ერთი მეტრის სიმაღლეზე, სხვა საზომით რომ ვიანგარიშოთ, ეს მუშაობა 4. 200 ჯაულს უდრის. ორთქლის მანქანას, რომელსაც ერთი ცხენის ძალი აქვს, შეუძლია წარმოშვას $5_3/^1$ წუთში იმდენივე მუშაობა, ე. ი. 4. 200 ჯაული.

მეორე მხრით, სითბო მექანიკურ ენერგიად იქცევა სითბო წყალს ორთქლად აქცევს, ორთქლი კი მანქანას ამუშავებს. და ისეთი იდეალური ორთქლის—მანქანა რომ გვქონდეს, რომ სითბო მთლად მექანიკურ ენერგიად, სასარგებლო მუშაობად, გარდიქმნებოდეს, მაშინ 1.000 კალორია, ე. ი. ის სითბო, რომელიც საჭიროა, რომ წყლის ერთი კილოგრამის სიმხურვალე ერთი გრადუსით აამაღლოს, და რომელიც წყლის ერთი კილოგრამის 428 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდნით ჩნდება,—აგრეთვე ერთი კილოგრამო-მეტრის, 4,200 ჯაულის, მუშაობას წარმოშობდა.

მექანიკური ენერგია იქცევა იმავე დროს ელექტრონის ენერგიად: ერთი ცხენის ძალის ორთქლის—მანქანას $5^1/_2$ წუთში 15 ელექტრონის ლამპის ანთება შეუძლია. მაშასადამე თუთხმეტი ელექტრონის-ლამპის ამანთებელი ელექტრონის ენერგია უდრის 4 2 0 ჯაულს.

და იმავე ელექტრონის ენერგიას (4.200 ჯაულ ელექტრონის ენერგიას) შეუძლია გადიქცეს ქიმიურ ენერგიად და განაგდოს, განათავისუფლოს აზოტის სიმჟავის ვერცხლის წყალხსნილიდან $6^2/_3$ გრამი ვერცხლისა. ამგვარად ენერგიითა ერთმანეთად გარდაქმნის დროს მათ შორის შემდეგი თანშესაბამობანი სუფევს:

428 მეტრის სიმაღლიდან ერთი კილოგრამი ნივთის ჩამოვარდნის ენერგია=ერთი კილოგრამომეტრი, ანუ 4.200 ჯაული,=ერთი ცხენის ძალის ორთქლის—მანქანის მუშაობა $5^1/_2$ წუთის განმავლობაში=1000 კალორია=15 ელექტრონის ლამპის ელექტრული ენერგიის რაოდენობა-აზოტის სიმჟავის ვერცხლის წყალხსნილიდან ვერცხლის $6^2/_3$ გრამის განგდება, განთავისუფლება.

მაშასადამე, ენერგიანი არა ჰქრებიან, არამედ ერთმანეთად გარდიქმნებიან, ერთის რომელიმე ენერგიის განსაზღვრული რაოდენობა სხვა ენერგიის განსაზღვრულსავე რაოდენობად გარდიქმნება და მათი ერთმანეთთან შედარება შეიძლება საერთო საზომით: ეს საზომია ერგი ანუ ათი მილიონი ერგი, ანუ ჯაული (რამდენ ენერგიას შეიცავს ერგი, უკვე ზევით ავღნი-

დვას, რომელთაც სხვა და სხვა სასწავლე ბლებში ასწავლიან გამომცემელია თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია. მოთხრობები გამოვა ორ წიგნად. პირველ წიგნაკში დაიბეჭდება „ილიკო ბედენაძე“ „ნენესას“ „ზღვის პირად“, „დაუდეგარი“ „ტყეშიც“ და „ოლ ინდაც“! მეორე წიგნაკში მოთავსებული იქნება ექვსი სხვა პატარა მოთხრობა.

✦ გუშინ ღამით ძველი თბილისის ქუჩაზე გაქურდეს მასწავლებლის გიორგი აბაშიძის ბინა და წაიღეს ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდათ. ზარალი 500 მანეთამდეა

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს ყოფილმა თამჯდომარემ ფეოდოროვმა ქუთაისის თეატრის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად ორი ათასი მანეთი შესწირა.

✦ ქუთაისის თეატრის ამშენებელმა კომიტეტმა დაადგინა: თხოვონ ქალაქის მოურავს ბ. ჩიქოვანს სთხოვოს განსვენებული ძველ მოქმედის ეკ სარაჯიშვილის ნების აღმასრულებელთ, რაც შეიძლება მალე გადაეცეს თეატრის ფონდისათვის შეწირული 150 ათასი მანეთი, რადგან სათეატრო ადგილის დროზე შეძენა მიუცილებლათ საჭიროა.

✦ ქალაქის თვითმართველობაში სათადარიგო ჯარში გასულთ ოჯახების ცოლშვილთ მატერიალური დახმარება ურიგდება.

✦ ქუთაისში ძლიერ გავრცელდა ბავშვების ავათმყოფობა. ყვავილი და ქუნთრუშა მოდებულია.

✦ მეფურნეები ორ დღეს აცხობდნენ თეთრ პურს, გუშინ კი იმგვარი შავი და უმცხვარი პური გამოუშვეს რომ არ იჭმება. საკვირველია, რომ პურის საქმე დღევანდლამდი მოუწყობელია, შეიძლება შავი ფქვილისგან პური გამოცხვეს, მხოლოდ პური კარგად იყოს გამომცხვ რი და ცომი არ იყოს.

✦ გაზეთებიდან სჩანს, რომ თფილისში საოფლიან ავადმყოფთა რიცხვი საოცრად მრავლდება. ამ ჟამად იქ 447 საოფლიანი ავადმყოფია.

✦ ბაზარში დიდძალი კარტოფილია შემოტანილი ფუთი კარტოფილი 1 მ. და 80. კ იყიდება. ძრიელ კარგი იქნება რომ ქალაქის გამგეობამ შეიყიდოს ახლა კარტოფილი და შემდეგ იგი ნიხრზე მცხოვრებთ მიაწოდოს, თორემ მას სპეკულიანტები შეისყიდიან და ძრიელ გაძვირდება

✦ საერთოდ სანოვაგის საქმეს ორგანიზაცია აკლია. მეტი საქმიანობაა საჭირო. საკვირველია, რომ ამ დიდ საარსებო საქმეში მცხოვრებთა თვითმოქმედება არა სჩანს.

✦ ქუთაისის მცხოვრებნი პოლონელნი თავიანთი დიდებული მწერლის სენკევიჩის პანაშვიდის მოწყობას აპირებენ.

შნეთ). ენერგიათა გაზომვა და შედარება აგრეთვე კალორიებითაც შეიძლება.

ეს არის ენერგიის გაუქრობლობის, ან დაცვის, კანონი, რომელიც ხსენებულმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს.

და ფიზიოლოგიურ ენერგიათა გარდაქმნანი სავსებით ექვემდებარებიან ამ კანონს..

კაცის სხეული შეიცავს საერთოდ წყლის 58, $5\%$ ს. იმავე დროს სხეულიდან წყალი მუდამ გამოითხევა შარდის, ნაყრის, ოფლისა და ფილტვის ჰაერის ორთქლის საშუალობით. ამასთანავე წყალი გამოითხევა ნერწყვთან, ნაღველთან, რძესთან, სქესობრივი ორღანოების თესლთან და სხ. და სხეულმა აუცილებლად იმდენივე წყალი უნდა შეისვას, რამდენსაც გამოათხევს, მით უფრო, რომ წყალი საჭიროა, როგორც საზრდოს გამხსნელი და როგორც უჯრედთა შინაგან ფიზიოლოგიურ მიმოცვლათა აუცილებელი პირობა: უწყლოდ ცოცხალი პროტოპლაზმა დაინგრეოდა.

მაშასადამე, რომ შევადაროთ რაოდენობანი იმ წყლისა, რომელსაც სხეული შეისვამს, და იმ წყლისა, რომელსაც გამოათხოვეს, ამ რაოდენობათა სრულ თანასწორობას აღმოვაჩენთ. და ამასთანავე, როდესაც სხეული ბევრ წყალს შეისვამს, ბევრ წყალს გამოათხევს, როდესაც ცოტას შეისვამს, ცოტასვე გამოათხევს.

ვასილ წერეთელი.

(შემდეგი იქნება).

# ობოლი.

აღარ მყავს მეგობარი, ყარიბი ვარ, ობოლი,
მოვსწყდი ცხოვრების წალკოტს, როგორც მჭკნარი ფოთოლი.
მხოლოდღა მასულდგმულებს მე სუმბულის ალერსი
ყვავილებით მოქარგულ მზერა არემარესი....

მიხმაურებს სიო ჰანგს და ვნუგეშობ ამითა,
ობოლ სულის სევდა დარდს იგი ჰფანტავს წამითა,
ვაგლახ გულში მიღვივებს კვლავ ნორჩ იმედს ის ბგერით
უნუგეშო სიცოცხლეს ვატკბობ ტკბილი სიმღერით...

„ღრუბლებს გავცრეც, გავფანტავ, ვეკვეთები ისარათ,
დავგლეჯ გლოვის მანტიას და ვიქცევი ცისკარათ!
აღვძრავ ზღვას და ოკეანს საღათის ძილმორეულს,
მნათობ სხივებს მივუძღვნი ეკლიან გზას მორეულს.

სევდასა და კაეშანს გადვულოცავ კვლავ მთვარეს,
და გულში ჩავექსოვი ჩემ სამშობლოს ჩემ მხარეს;
მოძმის წყლულს და იარას დავედები მალამოთ,
მისთვის სიკვდილ სიცოცხლეს მივიჩნევ მე საამოთ“.

ეს ოცნების კოშკია და როს დავეშვები ძირს,
კვლავ სევდა კაეშანი მარად თან მდევს ობოლ მწირს ..
ოცნებას კვლავ მიშხამავს მწარე ფიქრი, ნაღველი,
და ჩემს უთვისტომობას დასცინის ცა და ხმელი.

ა. ოდიშელი.

# კავკასიის ქრონიკა.

— **თბილისში** სპარსეთიდან ჩამოსულა მათი იმპერატორობითი უმაღლესობა დიდი მთავარი ბარისი ვლადიმიროვიჩი.

— იქიდანვე იწერებიან, რომ თ. ნიკოლოზ ერისთავის ქვრივმა ეკატერინე მიხეილის ასულმა თავის ქმრის ხსოვნის აღსანიშნავად განიზრახა ნ. ბარათაშვილი ლექსების და წერილების აკადემიური გამოცემა, წიგნი კარგა ხანია მზადდება, მაგრამ გამოვა მხოლოდ მომავალი წლის თებერვალში.

— პოეტის ნ. ბარათაშვილის დაბადების ასის წლის თავზე, 22 ამ ნოემბერს, გამოვა პატივცემული თ. ეკატ. მიხ. ერისთავის სათასურით ფაქსიმილე ნ. ბარათაშვილის საკუთარი ხელით დაწერილი, „ბედი ქართლისა“. პოემა გამოცემული იქნება სრულიად უცვლელად, როგორც აქვს ავტორს წიგნი 500 ცალი იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ.

ს. ფ.

— **ფოთიდან** გვწერენ, რომ იქ 10 ნოემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში ახალი საქალაქო ბანკის ორი დირექტორის არჩევანი მომხდარა. აურჩევიათ ჩოჩუა და კ. ე. ბოლქვაძე პირველს ექნება ჯამაგირი 2400 მანეთი წელიწადში და მეორეს 600 მანეთი. კანდიდატებად არჩეულნი არიან პ. ვ თოფურიძე და ლ. ა. ზოდელავა. ბანკი დაიწყებს მუშაობას 1 დეკემბრიდან.

— **ხონი.** კვირას, 13 ნოემბ. ადგილობრივ თეატრის დარბაზში გამართული იყო სიტყვა-მუსიკობა კ. ფოცხვერაშვილისა

— **ბათუმ ი.** ტრაპიზონიდან იქ დიდძალი თხილი, თუთუნი და დაფნის ფოთოლი ჩამოუტანიათ. ფასი ამ საქონლებზე ძრიელ დაცემულა.

**საქართველოს გარეშე.**

— **ნახიჩევანში** (ერევნის მაზრა) დიდი სიძვირეა ყველაფერს ცეცხლი ედება. საქონელი ბევრია, მაგრამ მდიდრების სარდაფეშია მიმალული. ამ დღეებში აქ ერთი მდიდარი ვაჭარი მოკვდა და მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გამოჩნდა რომ მას შვიდასი ფუთი ქვილი და შაქარი სარდაფში მიემალა.

# თავ. კოწია წულუკიძის

**მკვლელობის გამო.**

როგორც მოეხსენება პატივცემულ საზოგადოებას, 6 ნოემბერს ქუთაისში, ცენტრალურ ნომრებში მოკლულ იქნა მაუზერის ტყვიით ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე ყმაწვილი თ. კოწია წულუკიძე; იმისმა ასე ტრაღიკულად გარდაცვალებამ უზომოდ შეაწუხა არა მარტო ისინი, ვინც მას იცნობდენ, არამედ ყველა, ვისაც კი გაუგონია იმისი ადამიანობა; და მართლაც სამართლიანია საზოგადოების წუხილი თავ. კოწიას დაკარგვით: განსვენებული იყო მეტად ზრდილობიანი, დინჯი, პატიოსანი მშვიდობიანი და გულკეთილი პიროვნება; ერთხელ ვინც კი დაჯდებოდა მასთან და იპურმარილობდა, საკმაო იყო მისთ ის გაეცნო ის ახლო და დაეხასიათებია. ზოგიერთებივით აყალმაყალის მოყვარული ყმაწვილი არ იყო იგი, პირიქით სცდილობდა ამგვარ ხასიათის ადამიანთათვის წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვა ჩაეგონებია და ასეთი ღირსების დაცვის დროს მხეცურად და შეუბრალებლად განგმირულ იქნა ტყვიით მისი გული იმისი მკვლელის შესახებ მე არაფერს ვიტყვი; ალბათ დღეს თვითონვე იტანჯება ის ზნეობრივად და სულიერად ამ გვარი საქციელის ჩადენისათვის, მხოლოდ არ შემიძლია ზიზღით არ მოვიხსენიო არა ადამიანობა, გულქვაობა და უნამუსობა იმ ექიმისა, რომელმაც დაინახა სულთმომბრძავი ახალგაზრდა, იშოვა დრო, ანგარების მოყვარებამ დაავიწყა მას, როგორც ზნეობრივი, ისე იურიდიული მოვალეობანი, დაავიწყა მოყვასის სიყვარული, და წარბშეუხრელად მოითხოვა წინდაწინ 150 მანეთი, ისე კი დანას ხელი არ მოკიდა, რათა შეძლებისადაგვარად დახმარება აღმოეჩინა მომაკვდავ ადამიანისათვის. კიდევ კარგი, რომ აღმოჩნდა იმ წუთში იქვე საავათმყოფოს დარბაზში სულით მაღალი ადამიანი ბ-ნი პეტრე საყვარელიძე, რომელმაც დაფასა და დააფასა მტკიცა მეგობრობა ერთი თვის წინად გაცნობილ და იმ წუთებში კი მომაკვდავი ვაჟკაცისა, შეასრულა თავისი მოვალეობა მოწყალე სამარიტელივით, გაიკრა ჯიბეს ხელი ამოიღო 500 მანეთიანი და შეუგზავნა იუდა დოსტაქარს, რომლიდანაც მან წინდაწინ აიღო 150 მანეთი და როდესაც დაკმაყოფილდა, მერმე მოკიდა დანას ხელი და შეუდგა მოვალეობის შესრულებას. გუშინ გვიცანი მე ბ-ნი პეტრე საყვარელიძე, რომელმაც რამოდენიმე პატივცემულ პირთა თანდასწრებით, ჩემ შეკითხვაზე, ყოველივე გადმომცა; პეტრეს სიტყვებმა თვალებზე ცრემლები მომგვარა. საქებურია ბ-ნი პეტრე საყვარელიძის საქციელი, რომელიც უანგაროთ დაეხმარა მომაკვდავ მოყვასს.

შეუბრალებელი ექიმი კი ღირსია გაკიცხვისა. თავის დროზე გამომჟღავნდება იმისი ვინაობაც.

დადო ბზვანელი.

# თეზისები ლ. ბოცვაძის

**მოხსენებისა „სახალხო სკოლა და პროფესიონალური განათლება“.**

ქართ. კულტ. განმ. საზ. კავ. კრებაზე წაკითხული.

1 სახალხო სკოლა ასცდა თავის პირდაპირ დანიშნულებას და ამიტომ სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა ვერც რუსეთში; პირიქით, სახალხო სკოლა ჩვენში ისეთს მიზანსაც ემსახურებოდა და ემსახურება, რომელსაც ხალხის განათლებასთან არავითარი დამოკიდებულება არ აქვს.

2. სახალხო სკოლა ზოგად განათლების სასწავლებელია და იგი ვერ დაისახავს სხვა მიზანს, რომლისთვისაც არც დრო აქვს და არც ძალა შესწევს.

3. ყოველს საპროფესიო ცოდნას წინ უნდა უძღოდეს საკმარისი ზოგადი განათლება, რომელიც ყველა ადამიანისთვის საერთო ნიადაგსა ჰქმნის, შიისწრაფვის განვითარებისაკენ და იძლევა საერთო ცოდნას, საზოგადო იდეას, ზოგად მსოფლმხედველობას.

4. საპროფესიო განათლება დაბალსა და საშუალო ზოგად განათლების სასწავლებლებშიაც კი.

5. რუსეთის ერობას არა ერთხელ გამოუთქვამს საერთო აზრი, რომ სახალხო სკოლას ზოგად-განათლების ფართო მიზანი დაესახოს და არა რაიმე საპროფესიო დანიშნულება, რომლისთვისაც სპეციალური სასწავლებლებია საჭირო.

6. დაბალი სამეურნეო სკოლები ვერ აღწევენ თავიანთ მიზანს, ისინი უძლურნი არიან ხალხში სამეურნეო ცოდნა გაავრცელონ და ამიტომ ნაყოფი ასეთის კოლებისა უნაყოფოა, ვიდრე სასურველად არ გადაკეთდება.

7 ყოველგვარს სასწავლებელში, თანახმად საზოგადოების სოციალურის ცხოვრებისა, მრეწველობის განვითარებისა და ევოლუციისა, განხორციელებული უნდა იქნეს ახალი პრინციპები შრომის სკოლისა, რომელიც სავალდებულო უნდა იყვეს ყველა წოდებისა და კლასებისათვის. შრომის პრინციპზე აღიზრდებიან მოქალაქენი, რომელიც თავიანთვე ნიჭისა და მოწოდების მიხედვით საზოგადოებისათვის საჭირო შრომის ყოველგვარს ფორმებში სასურველს მონაწილეობას მიიღებენ.

8 ფართო საპროფესიო განათლება საჭიროა და ასეთი განათლება შესაძლებელია სპეციალურ სასწავლებლებში.

9 სახალხო სკოლის განახლებისათვის საჭიროა, სხვა ზედმეტი ბარგის ჩამოშორების გარდა, ხელგარჯილობის სწავლების შემოღება ე. ი. სისტემატიური პრაქტიკული მუშაობა, რომელიც მდგომარეობს ქაღალდის, კარდონის, თიხის, ხის, ლითონის და სხვა მასალათა შემუშავებაში ბავშვების ინტერესის, ნიჭისა და ძალთა მიხედვით იმ მიზნით, რომ ბავშვმა გაიცნოს საზოგადოდ ფიზიკური შრომის „ანბანი“.

10. სკოლის განახლების უპირველეს საშუალებად აღსარებული უნდა იქმნეს მასწავლებელთა სერიოზული მომზადება. კლასიკურ სისტემს განათლებისას მრავალი უარყოფითი მხარე აქვს. თბილისის ქართული გიმნაზიის თითო კლასი მეხუთე კლასიდან უნდა გადაკეთდეს ქართულ საოსტატო ინსტიტუტად: ქუთაისის ქართული გიმნაზიის თითო კლასი კი იმავე მეხუთე კლასიდან – ქართულ საოსტატო სემინარიად; „განათლების საზოგადოების“ ქალთა სემინარია უნდა გადაკეთდეს ქალვაჟთა სემინარიად რომელიმე ქართველი მასწავლებელი უნდა გაიგზავნოს პეტროგრადის საოსტატო ინსტიტუტში ხელგარჯილობის მეთოდიურად და პრაქტიკულად შესასწავლად; [illegible] მასწავლებლები საზაფხულო [illegible] გზავნოს მოსკოვში ვან. შურზაევის კურსებზე პედაგოგიური მხატვრობისა და საილუსტრაციო ხელგარჯილობის პრაქტიკულად და თეორიულად შესასწავლად ადგილობრივადაც უნდა მოეწყოს ასეთი კურსები. მასწავლებელი უნდა გაიგზავნოს აგრეთვე საზღვარ-გარეთაც ხელგარჯილობისა და შრომის პრინციპზე აგებული სკოლების დასათვალიერებლად და შესასწავლად. სკოლის განახლებაში ყოველივე უნდა ეგუებოდეს ადგილობრივს პირობებს.

# ხალხთა კავშირი.

„ტიმეს“ ის პირველ ფურცელზე ღია წერილია დაბეჭდილი. ამ წერილს ხელს აწერენ ინგლისის ქვედა პალატის დეპუტატები დიკინსონი და ვილიამსი. წერილი ეხება ხალხთა კავშირს. ავტორები დიდ მნიშვნელობას აძლევენ მას, რომ ინგლისის და ამერიკის მოწინავე პირები ხშირად უბრუნდებიან ამ საკითხს. მათი აზრით უეჭველად უნდა დაარსდეს „ხალხთა კავშირი; რომელმაც თადარიგი უნდა გაუწიოს სახელმწიფოთა და ხალხთა შორის დამოკიდებულებას. ავტორებს იმედი აქვთ, რომ ეს იდეა ინგლისში ნიადაგს მოიპოვებს და დიდი პატივით იქნება მიღებული. ჩვენ დავიწყეთ ომი იმიტომ, რომ შემდეგ ომს საზღვარი დავუდოთ და ომმან ომი ჩაკლასო. ამგვარი იდეა ჩვენ ჯარს და მეზღვაურებს გაამხნევებს. მათ ეცოდინებათ, რომ ამ ომით ხალხთა შორის სისხლის ღვრა უნდა მოისპოს და დღევანდელ შეომართა სისხლი დიდ მსხვერპლად იქნება შეწირულიო.

ამისთვის ინგლისი მარტო იდეით კი არ უნდა დაკმაყოფილდეს. მან ახლავე უნდა გამოძებნოს და მიიღოს ის საშვალება, რომლითაც კი შეიძლება ხალხთა კავშირი“ განხორციელდეს. და ეს უკანასკნელი ყველა ზომებს მიიღებს, რომ ომი სამუდამოდ მოისპოს.

„ტიმესი“ ამ აზრს მოწინავე წერილს უძღვნის; მხარს უჭერს ამ იდეას და ამბობს: ედვარდგრეის სიტყვით „ხალხთა კავშირის“ შედგენა მარტო ნეიტრალურ სახელმწიფოთა საქმე იყო, რადგან მეომარ სახელმწიფოთა შორის არავითარი კავშირის შედგენა არ მოხდება, სანამდი გერმანია სულ არ დაემხობაო. როდესაც ომში შეთანხმების სახელმწიფოები გაიმარჯვებენ და ყველას ეცოდინება, რომ ჩვენ ომი ბედნიერათ დავაბოლავეთ მაშინ შეიძლება „ხალხთა კავშირის“ იდეის გავრცელება, დღეს კი იდეა მარტო ჩვენს მტრებს შეუწყობს ხელსო.

# ქალთა საყურადღებოთ.

სახელმწიფო სათათბიროს სამოქალაქო კანონპროექტების კომისიაში საქალაქო რეფორმის კანონ პროექტის განხილვის დროს ქალების არჩევნების უფლებაზე აღიძრა ბაასი, მ. ი. ორიფეევმა (ოქტიაბრისტია)გამოსთქვა ის აზრი, რომ საქალაქო არჩევნებში ქალებს აქტიური არჩევნების უფლება შიეცესო.ნოვიკოვი,ბარიშნიკოვი, სკობელევი, კალუგინი და ბლმაზოვი ამტკიცებდენ, რომ საქალაქო არჩევნებში ქალებს, როგორც აქტიური, ეგრეთვე პასიური უფლებანი უნდა მიენიჭოსო.

რუსეთში ქალი განათლებით მაღლა დგას. იმ დროს, როდესაც დღეს გერმანიაში უმაღლეს-სასწავლებლებში 5000 მოსწავლე ქალია, რუსეთში 30,000 მოსწავლე ქალი ირიცხებაო, რუსეთში ქალი დიდიხანია შრომის ასპარეზზე გამოვიდა. დღეს, ომის გამო, ქალის შრომას დიდი ფასი აქვს. სიმართლე არ იქნებოდა, რომ ქალთა საქალაქო არჩევნებში ხმოსანთ ამომრჩევლის უფლება მიეცეს და თვით ხმოსნობის უფლება კი არაო.

თუ ქალი კაცია მაშ მას ყოველი კაცური უფლება უნდა მიენიჭოსო.

სირცხვილია. რუსეთში ქალს საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდეს იმ დროს, როდესაც ფინლანდიაში ახალ არჩეულ სეიმში 24 ქალია დეპუტატი. ქალები მთელი სეიმის $12\%$ შეადგენენ.

ნუ თუ რუსეთის ქალები ამ უსამართლობას და დამცირებას მოითმენენ.

შ. გ.

# პატარა წერილები

IV

საქართველოში ერთ დროს ჟამიანობა ყოფილა. ამ საშინელ სენს მუსრი გაუვლია ქართველებისათვის. ზოგიერთი ოჯახი ძირიან ფესვიანად ამოუგდია და ალაგ ალაგ თითო გვარში მარტო ერთი წარმომადგენლის მეტი აღარ დარჩენილა.

ამ ჟამიანობის ამბავი ეხლაც შიშის ზარს ჰგვრის ჩვენ ხალხს.

ლურჯ ბილეთიანების გაწვევის შემდეგ მაინც სოფლებში მარტო ღრმა მოხუცებულებს, მცირე წლოვან ბავშვებს და ქალებს ვხედავთ. მართალია ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნიდან ყველა ლურჯ ბილეთიანები გაწვეული არ არიან, მაგრამ მათ თავიანთ ოჯახებში მაინც ვეღარ ვხედავთ ისინი ზოგი ბათუმ-ტრაპიზონისაკენ გადაიხვეწნენ და ზოგი სარაკამიშ ერზერუმისაკენ. როგორც თან და თან ირკვევა ასეთ გადახვეწილ ლურჯ ბილეთებიანის ბედი და ყოფა-ცხოვრება უფრო აუტანელი ყოფილა ვიდრე მათი, რომლებიც პირ და პირ ომში არიან წასული. სხვა და სხვა გვარი „პოდრიადჩიკ-ნარიადჩიკები" მათი სიცოცხლის უზრუნველ საყოფელად არავითარ ზომებს არ ღებულობენ. რამოდენიმე სული ღამ-ღამობით ერთ მიწურში არიან მოთავსებული და ერთმანეთს ჰერეხივით აყრიან თავზე. ხშირათ იქ ბინადრობენ, სადაც ასაფეთქებელი მასალა აწყვია. „პოდრიადჩიკ ნარიადჩიკების" მუშებისადმი ასეთ უდარდელობას ამ ერთი კვირის წინეთ ერთი დიდი უბედურება დაუტრიალებია. რამოდენიმე ათეული მუშა ერთ სახლში ყოფილა შეკრებილი, უეცრად დიდი ყუთი, კლდის სამტვრევი ნივთიერებით სავსე, აფეთქებულა და სახლიც მიწასთან გაუსწორებია და მუშებიც უმსხვერპლია. პატარა უკანეთიდან ამ უბედურებას რვა ჯან სალი ვაჟკაცის სიცოცხლე შთაუნთქავს. ამ რვაში ისეთებიც ურევია, რომლებსაც წვრილი ცოლშვილის მეტი სრულიად არავინ ყავს სახლში. დღეს სოფელ უკანეთში ერთი ჯოჯოხეთური ამბავი ტრიალებს, აქაც არის ერთი წივილ-კივილი და იქაც. პატარა ბავშვების კვნესა და „მამას" ძახილი ქვასაც კი ცრემლს გამოადენიებს. ამ უმაგალითო ომმა რამდენი ამ გვარი უბედურობა მოუტანა ქვეყნიერებას და მათ შორის ჩვენ საწყალ პატარა საქართველოს?! დიდათ საჭიროა პირდაპირ სახელმწიფოს ინტერესისათვის, რომ ბრასფერი არ ვსთქვათ პირადად ჩვენთვის, რომ „პოდრიადჩიკ ნარიადჩიკები", რომლებსაც ჩვენი ქვეყნიდან მუშების სახელწოდებით წითელ და ლურჯ ბილეთიანები მიყავსთ, ჯეროვან ყურადღებას აქცევდენ მათ ჯანმთელობასა და სიცოცხლის უზრუნველ ყოფას; თორემ რას გავს ეს. აქ, ეს ვაჟბატონები, ცხონებას პირდებიან მუშებს და იქ, ბდგილზე რომ მიიყვანებენ, ჯოჯოხეთში აკვრევინებენ თავს. მოტყუებაც არის და მოტყუებაც, ამ სისაძაგლეშიდაც არის განსხვავება.

მ. პუჩიძე.

# ქუჩის ძაღლები.

მახსოვს ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენ კურთხეულ ქალაქის ქუჩებში დადიოდენ ვიდაცეები, გრძელ ჯოხებზე წამოცმული ჩარგალ რგოლებით იჭერდენ ძაღლებს, ამწყვდევდენ გალიაში და მიყავდათ. სად მიყავდათ ამისი რა მოგახსენოთ, ეს კი მახსოვს, რომ ვერც თხოვნით, ვერც ქრთამით ძაღლის უკან დაბრუნებას ვერ აღწევდა მეპატრონე. რას აშავებდენ ეს საწყალი ძაღლები არც დღეს ვიცი, მაგრამ მაინც იჭერდენ და მიყავდათ.

დღეს რას ვხედავთ!.. ადამიანის ქერქში გახვეულან ნამდვილი ძაღლები. ეს ძაღლები კი დიდათ მაზარალებელნი, მშვიდობიან მცხოვრებლების შემაწუხებელნი და ადამიანის სახის შემარცხვენელნი არიან. ისინი სრულიად თავისუფლად დაწანწალობენ ქუჩიდან ქუჩაზე; არა ჩვეულებრივი ძაღლის ენოსვა აქვთ. იციან როდის ადგა, ან როდის დაწვა დღევანდელი, უმსგავსო არეულ-დარეული ცხოვრებით, გულმოწამლული მოქალაქე.. იციან სად წავიდა, ან სიდან მოვიდა იგი, შედიან სახლში და „სულით ხორცამდის" სცდიან. მერე როგორ დროს?!. როცა ასე ზღაპრულად გაძვირდა ყველაფერი, როცა ფულმა დაკარგა თავისი ფასი, როცა გასაყიდელ საქონელს ვერ შოულობს კაცი; როცა ძმა ძმას გადაეკიდა, ტყავს აძრობს, სისხლს წუწნის; როცა ვაჭარი, გლეხი, თავადი, აზნაური, სოფლელი, ქალაქელი ბერი და მღვდელი — ყველა განსხვავერდა, ყველა თავისი გზით წავიდა.

არასოდეს არ ყოფილან ქ. ქუთაისში ემოდენა „ბიჭ-ბუჭი" როგორც დღეს, არასოდეს არ უთარეშნიათ ასე თამამად როგორ დღეს!..

სული გიშფოთავს.. გული გეწვის.. გინდა დაილაპარაკო, მაგრამ.. ესმის ვისმეს შენი ლაპარაკი? ვინ უგდებს შენ ლაპარაკს ყურს, ვინ ყმაკი ხარ შენ? ძალა გაქვს, უზრუნველ ყოფილია შენი პიროვნება, შენი ქონება თუ რა?.. მოქალაქე კი არა დატანჯული, „ბოროტ სულებში" მოფხარკალე, ადამიანი ხარ და... კიდევ ლაპარაკი! . ვინ უგდებს შენ ლაპარაკს ყურს?

მაგრამ მაინც ვიტყვი ერთ რამეს, რადგანაც ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა: ნეტავი სად წავიდენ ის ადამიანები, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინად ასე ერთგულად იჭერდენ ქუჩის ძაღლებს და გალიაში ამწყვდევდენ?.. ნუ თუ იმ ადამიანებს მემკვიდრე არ დარჩათ? თუ დარჩათ რად არ შედიან ჩვენ მდგომარეობაში, არ გამოდიან ქუჩებში და არ იჭერენ ჩვეულებრივ ძაღლებს კი არა, რომლებსაც არავითარი ზიანი არ მოაქვთ, არამედ „ადამიანის ქერქში" გახვეულ მცხოვრებლების შემაწუხებელ ძაღლებს

როდემდის უნდა გაგრძელდეს „ქურდ-ბაცაცების", ამ ადამიანის ტყავში გახვეული ძაღლების თარეში

ნუ თუ მცხოვრებლები ვერ ხედვენ ამ ძაღლებს და თუ ხედვენ სად დაიკარგენ ასე რომ მათ თავიდან მოშორებაზე არ ფიქრობენ. ვაი ჩვენ სირცხვილს..

მოქალაქე

# კულტურული წ. ნაწილისათვის.

(მოწოდება).

მიუხედავად ომის მიერ შექმნილ სასტიკ პირობებისა, მიუხედავათ ხალხის ზედმიწევნით მატერიალურათ დაუძლურებისა სოფლად კულტურული მუშაობა არა თუ შესუსტდა, პირიქით გაძლიერდა...

ომმა და საერთო გაჭირვებამ ქართველი ხალხი სალათას ძილისაგან გამოაფხიზლა და უჩვენა მას, რომ თუ არა სწავლა განაბრივათ განვითარება ისე ადამიანური ცხოვრება შეუძლებელია.

ამ აზრით გამსჭვალულმა ჩვენმა სოფელმა იწყო სხვადასხვა ტიპის სასწავლებელთა, ბიბლიოთეკა სამკითხველოს და არსება და სადაც საჭიროა სახალხო სახლისაც, რათა მასში დროის შესაფერისად მოეწყოს სახალხო წარმოდგენები, ლექციები, დროებითი კურსები, კრებები და სხვა. ამნაირათ ჩვენს დაბა სოფლებში ჩაღდება კულტურულ განმანათლებელი მუშაობა და ჩვენს ქალაქის ინტელიგენციას მართებს, ქალაქის ქუჩათა ტკეპნის, მის და ან კანცელარიათა მტვერის ყლაპვის მ გიერ, გაუწოდოს დახმარების ხელი სოფელსა თუ ეს მას ეხერხება.

ერთ ისეთ კუთხედ, სადაც კულტურულ მუშაობისათვის ნიადაგი მომწიფებულია, ჩვენ მიგვაჩნია სოფ. ვანი (ქუთ. მაზრა). აქ არსებობს ქართველთა შორის წ. კ. გ საზოგადოების განყოფილება, სამკითხველო, წიგნის მაღაზია საკრედიტო და მომხმარებელი კოოპერატივები, უმაღლესი პ. დ. და სხვა სასწავლებლები და საზოგადო დაწესებულებანი. საკმაოა, როგორც ადგილობრივი ისე დროებით მოსული, ინტელიგენტური ძალებიც, რომ ამ საზოგადოებაში კულტურული მუშაობა ფართოდ დადგეს, რის მოთხოვნილებაც ფრიად დიდია.

მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში წ. კ. საზ. ადგილობრივმა განყოფილებამ გადაწყვიტა მოაწყოს მოკლე ხანში დროის შესაფერი და ადგილობრივ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი წიგნსაცავი; მომავალისათვის კი ეცადოს სახალხო წარმოდგენების, დროებითი კურსების და ლექციების მოწყობას ხალხში საჭირო საზოგადო, ტექნიკურ, აგრონომიულ, კომერციული და სხვა ცოდნათა გასავრცელებლათ. ამ მიზნის განსახორციელებლათ განყოფილების გამგეობამ საჭიროთ სცნო სახალხო სახლის დაარსება სოფ. ვანში და მის ახალგაზრ ფონდის შეკრებას მიჰყო ხელი. ადგილობრივი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით შეხვდა მის ასეთ გადაწყვეტილებას და თავის წვლილს არ იშურებს საქმ ს სასურველათ დაგვირგვინებისათვის მაგრამ, ვინაიდან გადაწყვეტილების სისრულეში მოყვა დიდ თანხას მოითხოვ, რის ადგილობრივ მოკრება შეუძლებელია, გამგეობამ გადაწყვიტა, მიმართოს ამ მოწოდებით, როგორც ვანის საზოგადოებიდან სხვა ადგილებში გადახვეწილთ, აგრეთვე ფართო საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ასეთ კულტურულ მუშაობისათვის გული შესტკივა, ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილის გაღებას, როგორც სახალხო სახლისთვის საჭირო ფონდის გასაძლიერებლათ, ისე წიგნსაცავის მოსაწყობათ, და ამით შეძლება მისცენ გამგეობას შეასრულოს ხალხის მრავალწლის ნატვრა, ნააზრევი და მისი გადაწყვეტილება. ყოველივე შემოწირულება სახალხო სახლის ფონდის გასაძლიერებლათ და წიგნსაცავისათვის (შესაძლოა წიგნების შემოწირვაც) მიიღება დიდის მადლობით და გამოცხადებული იქნება გაზეთებში.

შემოწირულება უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: С. Вани, через Самтреди (Кут уѣзд.) Гедеону Лазаревичу Мепаришвили для О ва грам.

ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების ვანის განყოფილების გამგეობა.

# პროვინციის ცხოვრება

— **დ. ჩხარი.** წელიწადზე მეტია რაც აქ სამკითხველო არსებობს და კარგათაცაა დაყენებული. ბევრი ჟურნალ-გაზეთები მოდის, სამკითხველოს გამგედ და მზრუნველად მღვდელი ისიდ აბესაძეა, სამკითხველოს წიგნებიც ბლომად აქვს, მაგრამ სამწუხაროა, რომ იქ წესიერება არა დროს არაა დაცული: ყოველთვის ხმამაღლა ლაპარაკი, სიცილი კისკისი, არა თუ კედელზე მიკრული: „ხმა მაღლა ლაპარაკი, აკრძალულია" არ შველის არამედ არც მზრუნველის მღვდელი აბესაძის დარიგება და მხილება. თ. ა.

— **შორაპნიდან** იწერებიან, რომ აქაურმა კოოპერატივმა ამიერ კავკასიის კავშირისაგან 6200 მანეთი მიიღო და საქმე ძლიერ კარგათ მიდის. აქაური კოოპერატივი წვრებს აწვდის პურს, ჩაის, შაქარს, სიმინდს და ყოველგვარ სასიცოცხლეო საქონელს ზომიერ ფასებში, მაგრამ ბევრი კიდევ უქმაყოფილოა და მასზე ბოროტ ხმებს ავრცელებენ. კორესპონდენტი ამხელს მათ, რომ თუ არ დაწყნარდენ, ამ ვაჟბატონების სახელს და გვარს გამოვამჟღავნებთო. თ. ა.

**სოფ. ილორი** (სამურზაყანო). სოფელს მომხმარებელი საზოგადოების დაარსების ნებართვა მოუვიდა და სავაჭროს გახსნას შეუდგენ. კორესპონდენტი ურჩევს, რომ ილორში განყოფილება გახსნან საჭიროა, რომ ოჩემჩირის კოოპერატივის დამაარსებლები და ილორის საზოგადოება შეთანხმდეს. თ. ა.

**რაჭიდან** წერენ „თანამედ. აზრს", რომ აქ ომმა ნემეტანი აუტანელი პირობები შექმნა. ახალგაზრდობა ჯარშია გაწვეული. მათ საქმეს ქალები ასრულებს, მაგრამ ოჯახში მუშობაც და ყანაში თოხნაც ვეღარ შესძლესო ბევრი მიწა დარჩა დაუმუშავებელი. რაჭის დიდ შემოსავალი მუშა ხელის ფულის საშოვრად გარეთ გასვლა იყო. დღეს კი ისინი ომში არიან, რამაც ცხოვრება ძლიერ არივ-დაირია, ამ კულტურას მოკლებულ ხალხშა ცრუმორწმუნეობამ წამოყო თავიო. გაჩნდენ ადგილობრივი წმინდანნი, რომელთაც ლოცვას ომში სიკვდილის გადარჩენას აწერენო ამის გამო ამ წმინდანთ ბევრი საჩუქრები მოსდით და ზოგიერთი ქალები მუხლმოყრილი ეხვეწებიან: ილოცე და ჩემი შვილი გადამირჩინეო. წმინდანნიც ვინც რომ მეტს აძლევს, მისთვის უფრო მეტს ლოცულობს.

# ავსტრიის და უნგრეთის საიმპერატორო გვირგვინი.

ავსტრიის და უნგრეთის იმპერატორის მემკვიდრე ფრანც-ფერდინანდი იყო, რომელიც ქ. სარაევოში სერბიელთაგან მოიკლა. ფრანც-ფერდინანდის მეუღლე გრაფის ხოტეკის ქალი იყო. მათ ორი ვაჟი და ერთი ქალი დარჩათ, მაგრამ რადგან მათი მეუღლობა მორგანიტულად, ე. ი. საიმპერატორო სისხლის და ჩამომავლობის თვალსაზრისით არა კანონიერად ითვლებოდა, ამისგ ამო ფერდინანდის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობა კარლო ფრანც იოსებზე გადავიდა. ახალი იმპერატორი 29 წლისაა; მასაც სამი შვილი ყავს აქამდი კარლ ფრანც იოსები ცხენოსან ჯარში ირიცხებოდა და მსახურობდა, როგორც ყველა აფიცერი მისი პოლიტიკური შეხედულება ჯერ გამოურკვეველია.

# რუსეთი.

— პროტოპოპოვის განკარგულებით სასურსათო საქმეების გამგებელ საზოგადო ორგანიზაციების რევიზია მოხდება ამის გამო პროტოპოპოვს გუბერნატორებისთვის უკვე მოუთხოვია ყველა მასალები ამის შესახებ.

— ირკუტსკის გაზეთ „სიბირ"-ის რედაქტორი 500 მანათით დაუჯარიმებიათ.

— მოსკოვის პოლიციას აღმოუჩენია რუსულ გაზეთის „როდნაია რეჩ"-ის ნომრები. ეს გაზეთი მცხოვრებლებს მოუწოდებს, რომ აჯანყება მოახდინოს. გაზეთს ზედ მოსკოვის სტამბის სახელი აწერია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს გაზეთი გერმანიაში უბეჭდიათ და შემდეგ რუსეთში შემოუტანიათ იქიდან.

— ვერძი საუბრის დროს ტრეპოვს განუცხადებია ჩემი მოქმედების სქემა ასეთია: ომი ბოლომდის, მჭიდრო კავშირი ინგლისთან, საფრანგეთთან და იაპონიასთან და შინაური ცხოვრების მოწესრიგება.

— 1915 წელს მაისს მოსკოვში მომხდარ უწესოების გამო დაზარალებულებმა მთავრობისგან ზარალის ასანაზღაურებლად ითხოვეს სულ 28,846,011 მან. მთავრობის საჩივრები განუხილავს და მხოლოდ 10 მილიონი მან გაუცია.

— იუმორისტულ ჟურნალ „ნოვი სატირიკონი"-ის რედაქტორი სამხედრო ცენზურის მიერ გაშვებულ ერთი წერილის დაბეჭდვისათვის 5 თუმნით დაუჯარიმებიათ.

— მუვაევს, გრიგოროვიჩსა და როძიანკოს მრავალი თანაგრძნობის დეპეშა მისდით რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებიდან

— სწავლაგანათლების სამინისტროს საჭიროდ უცნია ქ. სმოლენსკში მომავალ წლიდან უნივერსიტეტი გაიხსნას

— 9 ნოემბერს პეტროგრადში გაიხსნა ქალთა უმაღლესი სამღვთის მეტყველო კურსები.

# უცხოეთი.

— საბერძნეთმა მოკავშირეებს პროტესტი განუცხადა [illegible] ცენტრალ [illegible] ქვეშევრდომები ძალით გაასახლეს.

— როგორც ეტყობა გერმანელებმა ბელგიიდან ყველა ჯანსაღი მამაკაცი შუაგულ გერმანიაში გაიყვანეს თავ დასაცავ სამუშაობაზე დასაყენებლათ, რომ ვისაც თავის დახსნა სურს, მან 1000 მარკა უნდა შეიტანოს ხაზინაში და განთავისუფლებული იქნება.

— ცენტრალ სახელმწიფოების ელჩებს გაძევება იმიტომ მოუთხოვიათ მოკავშირეებს, რომ ბოლო დროს ძალიან გახშირებულან გერმანელი ჯაშუშები საბერძნეთში. ამას წინად ერთი ოსმალო ჯაშუში დაუჭერიათ შემდეგ დაუტუსაღებიათ გერმანიის საელჩოს ერთი მსახური, რომელსაც მომზადებული დოკუმენტები აღმოაჩნდა ზედ. ამ დოკუმენტებიდან სჩანდა, რომ გერმანელებს ფართე გეგმა ჰქონიათ შემუშავებული ჯაშუშობისა

— მოკავშირეები დენი კოშენის პირით მოლაპარაკებას აწარმოებენ შვეიცარიის მთავრობასთან ახალ სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"



# რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან — | დილის | 7 ს. 25 წ |
| " — | საღამ. | 8 ს. 50 " |
| ბათომიდან — | დღისით — | 12 ს. 40 " |
| " — | ღამის — | 2 ს. 20 " |
| ფოთიდან — | დილის — | 10 ს. 26 " |
| ტყიბულიდან — | საღამოს | 7 ს. 00 |
| შორაპნიდან — | დილის | 9 ს. 24 |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ — | დილის — | 11 ს. — |
| " — | ღამის — | 12 ს. 15 |
| ბათომისაკენ — | საღამოს — | 7 ს. 3 |
| " | დილის — | 5 ს. 55 " |
| ფოთისაკენ | დღისით — | 4 ს " |
| ტყიბულისაკენ | დილის | 8 ს. 13 " |
| შორაპნისაკენ | დღით — | 5 ს. 18 " |

**ისყიდება** ექლის ხ ე ათასი ძირი 15—30 წლისა, აგრეთვე მუხა, ალვის ხე და ჭადარი. სამტრედია კულაში. საბაზიონ ბაღი. ვლ. მიქელაძის მამულში.

**ავათმყოფნი სუსუნატით**

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა. ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საქიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „ბლენიოზოლი", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში**, გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სიამე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უერთგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 -(წლიური)